*დანართი №1*

**ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა შპს საზოგადოებრივი კოლეჯკავკასიონისმიერ პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაზე „სკოლამდელი აღზრდა“ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდის შესახებ**

| |
|---|
| **ექსპერტთა ჯგუფის წევრები** |
| თავმჯდომარე: **ვალერი ჯაჯანიძე** |
| წევრ(ებ)ი: **ქეთევან ღვანიძე** |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი I. შესავალი

### I. ინფორმაცია დაწესებულების შესახებ

დაწესებულების სახელწოდება: **შპს კავკასიონი**

ორგანიზაციულ სამართლებრივი ფორმა: **შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება**

საიდენტიფიკაციო კოდი: **412683813**

**სახე:**

☐ უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულება

☐ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება

■ პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება/კოლეჯი

***ადმინისტრაციული წარმოების სახე (მონიშნეთ შესაბამისი უჯრა):***

■ პროფესიულ სტუდენტთა ადგილების რაოდენობის გაზრდა

☐ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილის/ფართის ცვლილება

☐ საშუალო პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამაში ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის სწავლის შედეგების ინტეგრირება

☐ ავტორიზაციის პირობების შესრულების შემოწმება

- ☐ **გეგმიური**
- ☐ **არაგეგმიური**



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

☐ საბჭოს შუამდგომლობის საფუძველზე

## II. ვიზიტის საერთო მიმოხილვა

*სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის 2025 წლის 15 მაისის N 527670 ბრძანების საფუძველზე პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულებების ავტორიზაციის ექსპერტების ჯგუფს, შემადგენლობით: ვალერი ჯაჯანიძე - თავმჯდომარე, ქეთევან ღვანიძე - წევრი, დაევალა ქ. ქუთაისში, შპს საზოგადოებრივ კოლეჯ კავკასიონის მიერ შემუშავებული პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის ,,სკოლამდელი აღზრდა“ საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 1 ოქტომბრის №99/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ.ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ სტანდარტებთან შესაბამისობის შემოწმება. ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა შპს საზოგადოებრივ კოლეჯკავკასიონის, მიერ განაცხადით წარმოდგენილი დოკუმენტაცია და 2025 წლის 04 ივნისს განახორციელა ვიზიტი, ქ. ქუთაისში, მისამართზე ოცხელის ქ. №2, წინასწარ შეთანხმებული დღის წესრიგის შესაბამისად. ვიზიტი თანამშრომლობით და საქმიან გარემოში წარიმართა, ჩატარდა გასაუბრება დაწესებულების დირექტორთან, ადმინისტრაციის წარმომადგენლებთან, ხარისხის უზრუნველყოფის მენეჯერთან, პროგრამის ხელმძღვანელთან და პროფესიული მოდულების განმახორციელებლებთან. ექსპერტების მიერ შემოწმდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელებისთვის საჭირო აღჭურვილობა, მატერიალური და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობა, როგორც დაწესებულების შესაბამის სასწავლო გარემოში, ასევე პროფესიული მოდულებით გათვალისწინებული პრაქტიკული კომპონენტის განმახორციელებელ პარტნიორ ორგანიზაციებთან. შეფასდა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის მდგრადობა, სასწავლო პროცესის პრაქტიკული ორგანიზებისა და პროფესიულ სტუდენტთა რაოდენობის გაზრდის მიზანშეწონილობის საკითხი. ვიზიტის დასასრულს ექსპერტთა ჯგუფმა დაწესებულების წარმომადგენლებს გააცნო წარმოების ფარგლებში იდენტიფიცირებული მიგნებები და შეაჯამა ვიზიტი. ექსპერტთა შეფასებით, პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა ,,სკოლამდელი აღზრდა“ ავტორიზაციის დებულების“ 31-ე მუხლის მე-2 პუნქტის ბ) ქვეპუნქტის, ბ.ბ) ქვეპუნქტით განსაზღვრულ მოთხოვნებთან მიმართებაში შეფასდა როგორც სრულად შესაბამისი.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## III. ინფორმაცია პროფესიული სტუდენტების შესახებ

*ინფორმაცია ივსება მხოლოდ მიმდინარე პროგრამების მიხედვით მონიტორინგის დროს ან წარმოების მიზნებიდან გამომდინარე.*

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება | საბჭოს მიერ განსაზღვრული პროფესიული სტუდენტების ზღვრული რაოდენობა | აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეჩერებული პროფესიული სტუდენტების რაოდენობა | სტატუსშეწყვეტილი პროფესიული სტუდენტების რაოდენობა |
|---|---|---|---|---|
| სკოლამდელი აღზრდა | 76 | 78 | 3 | 0 |

## IV. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

*გთხოვთ, მოიყვანოთ საუკეთესო გამოცდილების მაგალითი(ებ)ი, ასეთის არსებობის შემთხვევაში.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## II. პროგრამების ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი

| პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების დასახელება | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| სკოლამდელი აღზრდა | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

## III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში ხარვეზი არ დაფიქსირებულა.

## IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია არ გაცემულა.

## V. განმავითარებელი რეკომენდაციების შეჯამება

ვიზიტის ფარგლებში სტანდარტთან განმავითარებელი რეკომენდაცია არ გაცემულა.

## VI. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

*დაწესებულება დაეთანხმა ექსპერტთა მიერ შემუშავებულ დასკვნას.*



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## ნაწილი IV. ინფორმაცია პსდ-ს პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამ(ებ)ის შესახებ

### I. ზოგადი ინფორმაცია

| | |
|---|---|
| პროგრამის სახელწოდება | სკოლამდელი აღზრდა |
| პროფესიული განათლების დონე | მეხუთე |
| მისანიჭებელი კვალიფიკაცია | უმაღლესი პროფესიული კვალიფიკაცია სკოლამდელ აღზრდაში |
| სწავლის დეტალური სფეროს კოდი | 0112 |
| პროგრამის განხორციელების ენა | ქართული |
| პროგრამის განხორციელების მისამართი/მისამართები | ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2 |
| პროგრამის სწავლების ფორმა (დუალური/კოოპერაციული/იმიტირებულ გარემოში) | კოოპერაციული |
| დაწესებულების მიერ პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 124 |
| აქტიური პროფესიული სტუდენტების რაოდენობა (არსებობის შემთხვევაში, სწავლების ფორმის შესაბამისად, მათ შორის ინტეგრირებულის არსებობის შემთხვევაში) | 78 |



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

| | |
|---|---|
| ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით პროგრამის პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა სწავლების ფორმის მიხედვით (არსებობის შემთხვევაში ინტეგრირებულ სასწავლო გეგმაზე) | 124 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში ქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 116 |
| კრედიტების რაოდენობა ინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | |
| კრედიტების რაოდენობა არაინტეგრირებული სასწავლო გეგმის შემთხვევაში არაქართულენოვანი სტუდენტებისთვის | 146 |

## II. ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასაბუთება პროგრამაზე მოთხოვნილი პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის შესახებ

ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒
ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐

## III. პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის ცხრილი (მონიშვნები გააკეთეთ)



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

## IV. პროფესიული საგანმანთლებლო პროგრამის ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

| სტანდარტი/კომპონენტი | საგანმანათლებლო დაწესებულების შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* | ექსპერტთა ჯგუფის შეფასება *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)* |
|---|---|---|
| 2) საგანმანათლებლო პროგრამები | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |
| 2.2) საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება | ■ შეესაბამება<br>☐ მეტწილად შეესაბამება<br>☐ ნაწილობრივ შეესაბამება<br>☐ არ შეესაბამება |

### 2. საგანმანათლებლო პროგრამები

#### 2.2 საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების რესურსი

**2.2.1** პროგრამა უზრუნველყოფილია პროგრამის განსახორციელებლად საჭირო რესურსებით

1. პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას;
3. პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია;
4. საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი;
5. საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში;
6. სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად;
7. პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:**

1. **პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია დაწესებულების/სასწავლო საწარმოს/პრაქტიკის ობიექტის მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით, პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით.**

შპს საზოგადოებრივი კოლეჯი ავკასიონი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამას „სკოლამდელი აღზრდა“ ახორციელებს ორ ლოკაციაზე, ამ შემთხვევაში პროგრამაზე სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის განაცხადი კოლეჯს გაკეთებული აქვს ქალაქ ქუთაისის ლოკაციაზე, კერძოდ ქ. ქუთაისი, ოცხელის ქ. №2, მე-5 და მე-6 სართული. დაწესებულებაში ვიზიტისას ექსპერტების მიერ გადამოწმებულ იქნა პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელებისათვის საჭირო მატერიალურ-ტექნიკური ბაზა. შემოწმების შედეგად დადგინდა, რომ დაწესებულებას გააჩნია წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად აუცილებელი სასწავლო A და B გარემო. კოლეჯის საკუთრებაში აღნიშნული პროგრამის განსახორციელებლად არსებული ზღვრული ოდენობის გათვალისწინებით არის ერთი A გარემო, #15 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო რესურსით 40 პროფესიულ სტუდენტზე. კვოტის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირების შემდეგ კოლეჯმა დამატებით გამოყო კიდევ ერთი A გარემო #14 აუდიტორია, რომელიც აღჭურვილია საჭირო მატერიალური რესურსით 24 პროფესიულ სტუდენტზე. კერძოდ დაწესებულებას, ჯამში მფლობელობაში აქვს მაგიდა და სკამი 62/64 პროფესიულ სტუდენტზე, თითოეულ აუდიტორიაში განთავსებულია: 1 კომპიუტერი, 1 დაფა, 1 პროექტორი, 1 კომბაინი, 1 მონიტორი და 1 – ი პროფესიული მასწავლებლის სამუშაო ადგილი (მაგიდა, სკამი). კვოტის გაზრდის პირობით, აღნიშნულ პროგრამაზე პროფესიულ სტუდენტთა ზღვრული რაოდენობა შეადგენს 124 პროფესიული სტუდენტს, ორი მიღებისა და ცვლის გათვალისწინებით.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“ ითვალისწინებს პრაქტიკული კომპონენტის შემცველი ორი მოდულის სწავლებას. ესენია „გაცნობითი პრაქტიკა სკოლამდელი აღზრდა და განათლება“ და „პრაქტიკული პროექტი – სკოლამდელი აღზრდა და განათლება“. პრაქტიკული კომპონენტის განხორციელების მიზნით კოლეჯს გაფორმებული აქვს ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმი ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან (23.02.2023 #7). აღნიშნული მემორანდუმი გულისხმობს მხარეებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და მიზნად ისახავს სკოლამდელი განათლების მხარდაჭერას, კერძოდ მემორანდუმის ფარგლებში კოლეჯს საშუალება ეძლევა უზრუნველყოს გაერთიანებაში შემავალ ბაღებში უსასყიდლოდ მიავლინოს პროფესიული სტუდენტები, რომლებიც შეძლებენ ბაგა–ბაღის სასწავლო–სააღმზრდელო პროცესებში ჩართვას და უშუალოდ სამუშაო პროცესში მონაწილეობას, რაც ერთის მხრივ დაეხმარება მათ პროფესიული უნარების განვითარებასა და კვალიფიკაციის ამაღლებაში და მეორეს მხრივ ქ.ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებას დამატებით შესძენს უფასო მუშახელს და კვალიფიციურ საშტატო რესურსს.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

კვოტის გაზრდამდე მემორანდუმში განსაზღვრული იყო კონკრეტული ბაგა–ბაღების ჩამონათვალი №12; №28; №19 და №21 ფილიალები (ბაგა–ბაღები), რომლებშიც კოლეჯის სტუდენტები შეძლებდნენ პრაქტიკის გავლას. კვოტის გაზრდის გადაწყვეტილების შემდეგ კოლეჯმა ქ. ქუთაისის ბაგა–ბაღების გაერთიანებასთან გააფორმა შეთანხმება (24.04.2025 №7), რომლის თანახმადაც პრაქტიკის ობიექტად განისაზღვრა დამატებით სამი საბავშვო ბაგა–ბაღი №18, №27, №36 დაწესებულებები, მხარეების მიერ გაფორმებული შეთანხმების თანახმად თითოეული დაწესებულება ვალდებულებას იღებს დამატებით, მომსახურება გაუწიოს კოლეჯის 56 პროფესიულ სტუდენტს.

ავტორიზაციის ექსპერტებმა ადგილზე დაათვალიერეს პრაქტიკის ობიექტი და გაესაუბრნენ წარმომადგენლებს. მათ დაადასტურეს სრული მზაობა და ჩართულობა, ასევე ვალდებულება, რომ პრაქტიკის ობიექტზე სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია ობიექტების მფლობელობაში არსებული მატერიალური რესურსით. განხორციელდა შეხვედრა სტუდენტებთან და პედაგოგებთან აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. დადგინდა, რომ საგანმანათლებლო პროცესში მათ არა აქვთ რაიმე შეფერხება მატერიალურ რესურსთან მიმართებაში და ყველანაირი მასალებით უზრუნველყოფილი არიან როგორც კოლეჯში, ისე პრაქტიკის ობიექტზე. პარტნიორი დაწესებულება დაკომპლექტებულია 12 აღსაზრდელთა სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფით, რაც შესაძლებელს ხდის თითოეულ ჯგუფზე მინიმუმ 4 პროფესიული სტუდენტის მიმაგრების შემთხვევაში, საშუალო დატვირთვის გამოყენებით, თითოეულ ბაღში განხორციელდეს პრაქტიკული კომპონენტის მინიმუმ 24 პროფესიული სტუდენტის სწავლება, ხოლო მოთხოვნილი ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით (124 სტუდენტი), 7 ბაღის გამოყენების შემთხვევაში პრაქტიკული კომპონენტის სწავლის შედეგების მიღწევას აბსოლუტურად რეალურს ხდის. პროფესიულ სტუდენტებს მონაცვლეობით ანაწილებენ ბავშვთა ჯგუფებში, მათი ასაკობრივი თავისებურებების შესწავლის მიზნით. პროფესიულმა სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ მათ საშუალება აქვთ დამოუკიდებლად მოამზადონ სხვადასხვა აქტივობა, აწარმოონ ვბავშვთა დაკვირვებისა და შეფასების ჩანაწერები, შეიმუშაონ დღის განრიგი და მოამზადონ პრეზენტაციები თუ პროექტები.

2. **პროგრამისთვის განსზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას.**

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“, განხორციელების მიზნით, აკადემიას განსაზღვრული ჰყავს შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე როგორც ზოგადი, ასევე დარგობრივი მოდულის მასწავლებელი. პროფესიული პროგრამისთვის განსაზღვრული პროფესიული განათლების მასწავლებელთა რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობას. დაწესებულებას სტუდენტთა ზღვრული რაოდენობის გაზრდის მოთხოვნის დაფიქსირებამდე ჰყავდა 12 პროფესიული მასწავლებელი, აქედან 7 ზოგადი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

და 5 პროფესიული მოდულების განმახორციელებელი. მიმდინარე წლის ზაფხულში დაწესებულებამ ხელშეკრულება გააფორმა დამატებით 1 პროფესიულ მასწავლებელთან (29.04.2025წ. #20), რომელიც განახორციელებს პროგრამის რამოდენიმე პროფესიულ მოდულს. აღსანიშნავია, რომ აღნიშნული პიროვნება კოლეჯი „კავკასიონის“ კურსდამთავრებულია და არის დარგის მოქმედი სპეციალისტი. პროფესიული მასწავლებლების მიღების წესი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრულია, დაწესებულების საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულებით;

ვიზიტისას ექსპერტები გაესაუბრნენ როგორც მოქმედ, ასევე ახლად დამატებულ პროფესიულ მასწავლებლებს. ვიზიტის პროცესში გამოთხოვილ იქნა წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამების ფარგლებში მოქმედი 2 ჯგუფის სასწავლო გეგმა მასწავლებელთა დატვირთვის შესაბამისად, წარმოდგენილი ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ განხორციელების პროცესში ჩართული პროფესიული განათლების მასწავლებელთა კვირეული დატვირთვა სრულად მოდის შესაბამისობაში შრომის კანონმდებლობით განსაზღვრულ 40 საათიან სამუშაო დატვირთვასთან, რაც გაზრდილი ქვოტის შემთხვევაშიც იქნება დაცული.

3. **პროგრამისთვის განსაზღვრულ პროფესიული განათლების მასწავლებელს აქვს პროფესიულ სტუდენტთათვის შესაბამისი სწავლის შედეგების გამომუშავების და შეფასების კომპეტენცია.**

ვიზიტის ფარგლებში გადამოწმდა პერსონალის პირადი საქმეები, რის შედეგადაც დადგინდა, რომ პროფესიული პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ფარგლებში პროფესიული განათლების მასწავლებლების კვალიფიკაცია შეესაბამება კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს, მათ აქვთ შესაბამისი განათლება ან/და სწავლების გამოცდილება ან/და პრაქტიკული საქმიანობის გამოცდილება. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი შეხვდა სტუდენტებს და კურსდამთავრებულებს, რომლებიც დადებითად აფასებენ  პროფესიული განათლების მასწავლებლებს, კერძოდ, მათ კომპეტენციას. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ სტუდენტებტან გასაუბრების დროს მათ ცალსახად გამოხატეს პროფესიული განათლების მასწავლებლების კომპეტენციით კმაყოფილება, ისინი ხაზგასმით აღნიშნავენ მათ მხარდაჭერას სწავლების პროცესში. ვიზიტის ფარგლებში პროფესიულ მასწავლებლებთან გასაუბრებიდან გამომდინარე კიდევ ერთხელ გამოიკვეთა მათი კომპეტენციის შესაბამისობა დარგის თანამედროვე მოთხოვნებთან და მოდულური სწავლების გამოცდილებაც. პროფესიული მოდულების განმახორციელებლად შერჩეული პირები მუდმივად მონაწილეობენ სხვადასხვა ტიპის ტრენინგ-პროგრამებში, რაც დასტურდება შესაბამისი სერტიფიკატებით.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის  თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

4. **საგანმანათლებლო პროგრამას ჰყავს პსდ-ს მიერ განსაზღვრული, შესაბამისი დარგობრივი კომპეტენციის მქონე ხელმძღვანელი.**

კლეჯში მოქმედი რეგულაციის შესაბამისად ,,საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება", პროგრამის ხელმძღვანელს საგანმანათლებლო პროგრამის დამტკიცებასთან ერთად ნიშნავს დირექტორი (ბრძანება 22.11.2023წ. # 4941). პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქცია-მოვალეობები დეტალურადაა მოცემული პროგრამის ხელმძღვანელის ხელშეკრულებაში (გაფორმების თარიღი: 22.11.2023წ. N381). პროგრამის ხელმძღვანელი არის დარგის სპეციალისტი, მიღებული აქვს შესაბამისი დარგობრივი განათლება და აქვს დარგში მუშაობის გამოცდილება. დაწესებულების მიერ გამოგზავნილი პირადი საქმის, ხელშეკრულებისა და მასთან გასაუბრების შესაბამისად დადგინდა, რომ მისი, როგორც პროგრამის ხელმძღვანელის კვალიფიკაცია და სამუშაო გამოცდილება სრულად შეესაბამება მარეგულირებელი დებულებების მოთხოვნებს.

5. **საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი ხელმისაწვდომია ელექტრონული სახით ან დაწესებულების ბიბლიოთეკაში მატერიალური სახით და გამოიყენება სასწავლო პროცესში.**

საგანმანათლებლო პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი მიკვლევადია კოლეჯის ბიბლიოთეკაში, რომელიც თავის მხრივ წარმოადგენს გამოყოფილ სივრცეს (სამკითხველოთი), სადაც კომპიუტერებში ელექტრონული სახით ჩატვირთულია შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი. საჭიროების შემთხვევაში შესაძლებელია მათი ამობეჭდვა/დასკანერება. პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი წარმოდგენილია, მატერიალურად ან/და ელექტრონულად. კოლეჯის ვებ - გვერდზე განთავსებულია ელექტრონული ბიბლიოთეკის კატალოგი, სადაც შეყვანილია პროგრამაში მითითებული საგანმანათლებლო რესურსი.

კოლეჯს აქვს ბიბლიოთეკის კატალოგი, ბიბლიოთეკარი აწარმოებს ჩანაწერებს სტუდენტებისა და მასწავლებლების მიმართვიანობის შესახებ. ექსპერტთა ჯგუფის მიერ, მოდულებში მითითებული ლიტერატურიდან შერჩევითი პრინციპით გადამოწმდა სახელმძღვანელოები (თითქმის ყველა პროფესიული მოდულის სასწავლო რესურსი), რომლებიც მატერიალური სახით ინახება ბიბლიოთეკაში. ელექტრონული რესურსი გადატანილია ელექტრონულ მატარებლებზე.

პროგრამის ხელმძღვანელთან და განმახორციელებელ პირებთან გასაუბრებისას დადგინდა, რომ საგანმანათლებლო რესურსები - ნორმატიული აქტების კონსოლიდირებული ვერსიები ხელმისაწვდომია ყველა დაინტერესებული პირისათვის.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

6. **სსსმ პირებს წვდომა აქვთ პროგრამით გათვალისწინებულ ან ინდივიდუალური სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ სასწავლო რესურსებთან, რომლებიც ადაპტირებულია სსსმ პირების საჭიროებებისა და მოთხოვნილებების შესაბამისად.**

კოლეჯის დირექტორის მიერ დამტკიცებულია რეგულაცია, სადაც გაწერილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმების შემუშავების პროცედურები, რომლითაც განსაზღვრულია სსსმ პროფესიული სტუდენტებისთვის, მათი საჭიროებების გათვალისწინებით, დამატებითი მომსახურეობის გაწევის მექანიზმები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმით განსაზღვრულია მოდულის მოდიფიკაცია, რითაც მოხდება სსსმ პირისთვის საჭირო დამატებითი საგანმანათლებლო მომსახურეობის დაზუსტება. სასწავლო პროცესის მართვის სამსახურთან ინტერვიუს შედეგად დადგინდა, რომ კოლეჯის დირექტორის ბრძანებით თითოეული სსსმ პირისათვის იქმნება ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემმუშავებელი სამუშაო ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს სსსმ სტუდენტისათვის ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავებას და ხელს შეუწყობს მის განხორციელებას. კოლეჯს წარმოდგენილი პროგრამის ფარგლებში ამ ეტაპზე არ ჰყავს სსსმ საჭიროების მქონე პროფესიული სტუდენტი. დაწესებულება ადაპტირებულია სსსმ პირებისთვის, შენობას აქვს შესაბამისი პანდუსი, ასევე ადაპტირებული სველი წერტილი.

7. **პსდ-ს ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების მდგრადობა.**

პროგრამა ფინანსურად მდგრადია, რადგან პროგრამის დამატება, განხორციელება და მიმდინარეობა ფინანსურად უზრუნველყოფილია საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს მიერ, დაწესებულება ვაუჩერული დაფინანსების სახით მიიღებს სახელმწიფოსგან თითოეული სტუდენტის სწავლის საფასურს განსახორციელებელი მოდულების ღირებულების შესაბამისად მთლიან პროგრამაზე.

დაწესებულებამ წარმოადგინა პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის „სკოლამდელი აღზრდა“ ბიუჯეტი. დოკუმენტით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამისთვის რენტაბელობის ზღვარს შეადგენს მინიმუმ 18 პროფესიული სტუდენტიდან მიღებული შემოსავალი. ბიუჯეტი შედგება შემოსავლების და ხარჯების ნაწილისაგან. შემოსავლების მთავარი წყარო ვაუჩერია, ხოლო პროგრამის განხორციელებასთან დაკავშირებული ხარჯებს ძირითადად წარმოადგენს პროფესიული განათლების მასწავლებლების, ადმინისტრაციის შრომის ანაზღაურება, ძირითადი საშუალებების ცვეთა, მასალა ნედლეულზე დასახარჯი თანხა, კომუნალური გადასახადები და სხვა.



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

დასტურდება (მტკიცებულებები):

*კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები შესაბამისი დოკუმენტებისა და ინტერვიუს შედეგების ჩათვლით*

- პროგრამის ხელმძღვანელისა და პროფესიული მასწავლებლების პირადი საქმეები;
- პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამა „სკოლამდელი აღზრდა“;
- პროგრამის ბიუჯეტი;
- მოდულის განმახორციელებელ პირებთან გაფორმებული ხელშეკრულებები;
- ინტერვიუს შედეგები;
- საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელი დებულება;
- სასწავლო ცხრილების და მასწავლებელთა დატვირთვის შემოწმების შედეგები;
- წარმოდგენილი პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის განსახორციელებლად საჭირო A, B და C გარემოს ვიზუალური დათვალიერება.

შეფასება:

- *გთხოვთ, შესაბამისი გრაფის მონიშვნით, გამოხატოთ საკუთარი პოზიცია დაწესებულების სტანდარტის მოცემულ კომპონენტთან მიმართებით შესაბამისობის შესახებ.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები:

**ნაწილი VI. თანდართული დოკუმენტაცია**

დანართი 1. ვიზიტის დღის წესრიგი

26.06.2025 წ.

თარიღი



ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: